ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 179

„9" ივნისი 2015 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის" დაფუძნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ლ" ქვეპუნქტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის წიგნი პირველი, კარი პირველი, II თავისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 13 მაისის №19.22.564 განკარგულების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის" დაფუძნების თაობაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი